სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ 2013 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

თბილისი
2014

სარჩევი

1. სატყეო სფეროში არსებული მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა 1

2. სააგენტოს სტატუსი და საქმიანობის სფერო 4

3. კანონშემოქმედებითი მუშაობა 10

4. საფინანსო საქმიანობა 14

5. ტყის აღრიცხვა 19

6. ტყით სარგებლობა 26

7. ტყის მოვლა-აღდგენა 31

8. სახელმწიფო კონტროლი 39

9. მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა 45

10 . პროგრამებზე, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებზე მუშაობა 48

11. საზოგადოებასთან ურთიერთობები 52

დანართები 55

1. სატყეო სფეროში არსებული მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა

ტყე საქართველოსთვის განსაკუთრებული ფასეულობის ბუნებრივ რესურსს წარმოადგენს, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 40%-ს უჭირავს და უაღრესად დიდი მნიშვნელობა გააჩნია. ტყეები განაპირობებენ არა მხოლოდ უნიკალური ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებას, არამედ, უზრუნველყოფენ მოსახლეობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პირდაპირი თუ არაპირდაპირი სარგებელის და ტყის რესურსის უწყვეტ მიწოდებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ფუნქციონირებას, მოსახლეობის კეთილდღეობას და ხელსაყრელ გარემოს ქმნის ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის.

საქართველოს ტყეების 97-98% ბუნებრივი წარმოშობისაა, მათი შემადგენლობა, აღნაგობა, ზრდა-განვითარების პირობები და სხვა მახასიათებლები განაპირობებენ მდიდარ ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას - საქართველოს ტყეებში დაახლოებით 400-მდე სახეობის ხე და ბუჩქი იზრდება. დენდროფლორის მრავალფეროვნების მაჩვენებელია ენდემურ მერქნიან მცენარეთა სიმრავლე, კერძოდ, საქართველოს ტყეებში 61 ადგილობრივი და 43 კავკასიის რეგიონისათვის დამახასიათებელი ენდემური სახეობებია გავრცელებული.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ტყეების მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა - ტყეების მართვა არაეფექტური იყო, მოიშალა ტყის მეურნეობის გაძღოლის ტრადიციული წესები და მექანიზმები. შედეგად, ადგილი ჰქონდა დიდი მოცულობით ხე-ტყის უკანონო ჭრას, არ ხდებოდა ძოვების რეგულირება, გააქტიურდა ეროზიული პროცესები, რიგ შემთხვევებში, დაირღვა ეკოლოგიური წონასწორობა, სერიოზული საფრთხე შეექმნა ლანდშაფტები.

ხშირ შემთხვევაში პრობლემები ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და კომპლექსურ ხასიათს ატარებს. ძირითადი მიზეზებია:

- ტყის მეურნეობის გაძღოლის არასწორი პოლიტიკა;
- არასაკმარისი დაფინანსება და შეზღუდული ადამიანური რესურსები;
- არასრულფასოვანი საკანონმდებლო ბაზა;

1. სატყეო სფეროში არსებული მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა

- ქვეყნის ტყის რესურსების შესახებ არასრულყოფილი და არაადეკვატური ინფორმაცია;
- უკანონო ქმედებების მაღალი დონე და არალეგალური საქმიანობის არსებობა;
- სათბობი შეშის ალტერნატიული ენერგომატარებლების სიძვირე.

საქართველოს ტყის ფონდის მართვას ახორციელებს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო. ცნობილი მოვლენების გამო აფხაზეთის ა/რ და სამაჩაბლოს ტერიტორიებზე არსებული ტყეების მართვა და კონტროლი ვერ ხორციელდება (დიაგრამა 1).



დიაგრამა 1. საქართველოს ტყის ფონდის მართვა

1. სატყეო სფეროში არსებული მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა

ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტყის ფონდიდან:

- 2006-2012 პერიოდში ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიები გაცემულია 159.6 ათას ჰა-ზე;
- 2003-2012 წლებში სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით გაცემულია ლიცენზიები 71.1 ათას ჰა-ზე.

2. სააგენტოს სტატუსი და საქმიანობის სფერო

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ეროვნული სატყეო სააგენტო შეიქმნა 2013 წლის 14 მაისს.

სააგენტო მართავს ტყის ფონდს და ახორციელებს ტყის მოვლის, დაცვის, აღდგენის ღონისძიებებს, ახორციელებს ტყით სარგებლობის რეგულირებას და კონტროლს.

სააგენტოს უფლება-მოვალეობები

- ტყის მოვლა და აღდგენა;
- ტყის ფონდის მონიტორინგის განხორციელება და მიღებულ მონაცემთა დამუშავება;
- ტყის ფონდის აღრიცხვა და დაგეგმვა;
- ტყის ფონდის დაყოფა სატყეო უბნებად;
- უკანონო ტყითსარგებლობისგან ტყის დაცვის ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;
- ტყის ფონდის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების დროს საგანგებო ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობა;
- ტყის ფონდის ტერიტორიაზე ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვა, ხოლო ხანძრის საფრთხის შემთხვევაში, მის სალიკვიდაციოდ, შესაბამისი ზომების მიღება და საფრთხის შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდება შესაბამისი ორგანოებისთვის;
- კომპეტენციის ფარგლებში ტყის ფონდის ტერიტორიაზე ჩადენილი სამართალდარღვევის გამოვლენისას, კანონმდებლობით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენა და შემდგომი რეაგირების მიზნით, ასევე სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, საქმის მასალების შესაბამის ორგანოებში გადაგზავნა;

- კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოს მიერ გამოვლენილ სამართალდარღვევის საქმეებზე კანონმდებლობით დადგენილი წესით, გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრა (გამოანგარიშება) და სახელმწიფოსთვის ზიანის ანაზღაურების მიზნით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმთან ერთად ან შესაბამისი სარჩელის სასამართლოში წარდგენა;
- დადგენილი წესით ხე-ტყის დამზადება;
- დადგენილი წესით ხე-ტყის დამზადების ბილეთისა და ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტების გაცემა;
- დადგენილი წესით ტყის ფონდის სარგებლობაში გაცემა და ამ მიზნით შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება;
- დადგენილი წესით ტყეკაფის მონიშვნა ან/და გამოყოფა;
- კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობა;
- თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
- სატყეო სექტორის შემდგომი განვითარებისათვის სამართლებრივი, ნორმატიულ-მეთოდური და ეკონომიკური ბაზის შექმნაში მონაწილეობა;
- მიზნობრივი პროგრამების შემუშავება;
- კომპეტენციის ფარგლებში, კადრების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;
- კომპეტენციის ფარგლებში, კონტროლს დაქვემდებარებული შესაბამისი ტყითმოსარგებლის მიერ ჩადენილი დარღვევის აღმოსაფხვრელად სავალდებულო ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების მიზნით, ადმინისტრაციული მიწერილობის გამოცემა

და შესაბამისი ტყითმოსარგებლისთვის წარდგენა, რომლითაც ეცნობება მას, მითითებულ გონივრულ ვადაში აღმოფხვრას დარღვევები ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედებებისაგან;

- თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტროს გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტისათვის საერთაშორისო წყაროებით დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობის, პროექტების ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრების, საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების და საერთაშორისო ორგანიზაციების/პროცესების ეგიდით საქართველოში მიმდინარე ქმედებების შესახებ ინფორმაციის, ასევე შესაბამის სამდივნოებში წარდგენილი ეროვნული ანგარიშების ასლების მიწოდება.
- საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

სააგენტოს სტრუქტურა და საკადრო რესურსები

სააგენტოს ცენტრალური აპარატი შედგება შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან:

- ტყის აღრიცხვის დეპარტამენტი;
- ტყითსარგებლობის დეპარტამენტი;
- ტყის მოვლა-აღდგენის დეპარტამენტი;
- ფინანსური დეპარტამენტი;
- იურიდიული დეპარტამენტი;
- ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
- ანალიტიკური დეპარტამენტი.

სააგენტოს ტერიტორიული ორგანოებია:

- კახეთის სატყეო სამსახური;
- ქვემო ქართლის სატყეო სამსახური;

- მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახური;
- შიდა ქართლის სატყეო სამსახური;
- სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახური;
- იმერეთის სატყეო სამსახური;
- გურიის სატყეო სამსახური;
- რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახური;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახური.



სულ სააგენტოში დასაქმებულია 869 თანამშრომელი, მათგან 83 - ცენტრალურ აპარატში, ხოლო 786 - რეგიონალურ სამსახურებში (დიაგრამა 2).



დიაგრამა 2. სააგეტოში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობის დინამიკა

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში განხორციელებული რეორგანიზაციების შედეგად მოხდა გამოცდილი თანამშრომლების სატყეო საქმის არმცოდნე კადრებით ჩანაცვლება. აღნიშნულმა მიდგომამ გამოიწვია დარგის საერთო პროფესიული დონის დაქვეითება. 2006 წლიდან გაუაზრებლად მოხდა თანამშრომელთა, მათ შორის, ტყის მცველთა რაოდენობის 2-ჯერ შემცირება.

90-იანი წლების დასაწყისში (დაქვემდებარებული ტყის ფონდი - 2.2 მლნ. ჰა) ერთ ტყის მცველზე განპირობებული იყო 600 ჰექტარი დასაცავი ფართობი. ხოლო უკანასკნელ წლებში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 5000-7000 ჰა-მდე გაიზარდა.

სააგენტოში ამჟამად დასაქმებულ თანამშრომელთა საერთო რაოდენობიდან 569 ტყის მცველია. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სატყეო სააგენტოს მართვას ექვემდებარება 1 906 ათასი ჰა ტყის ფონდის ტერიტორია, ერთ ტყის მცველის

სამოქმედო ტერიტორია საშუალოდ 3 350 ჰა-ს შეადგენს, რაც ტყის მცველის სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, ვერ უზრუნველყოფს ტყეების ეფექტურ დაცვას. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ტყის მცველის უფლება-მოვალეობებში არ შედის მხოლოდ ტყის ფიზიკური დაცვა, მას დაკისრებული აქვს სხვა მომსახურეობის გაწევაც. ტყეების არასრულყოფილი ფიზიკური დაცვა, თავის მხრივ, განაპირობებს უკანონო ჭრების, ბრაკონიერობის და სხვა უკანონო ქმედებების ზრდის ხელშეწყობას.

ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება

საანგარიშო პერიოდში ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად სააგენტოს ცენტრალურ აპარატში და ტერიტორიულ ორგანოებში ჩატარდა კონკურსი 3 ეტაპად, სულ მონაწილეობა მიიღო 3500-მდე კონკურსანტმა, შედეგების შეჯამება, შერჩეული კანდიდატების დანიშვნა და შესაბამისი დოკუმენტალური ბაზის შექმნა.

დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა 116 თანამშრომელს, მათგან 51 თანამშრომელს შესაბამისი სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე მოეხსნა პასუხისმგებლობის ზომა.

სააგენტოს ჩამოყალიბების დღიდან უწყებიდან გასულია 2353 კორესპონდენცია; შემოსულია 2422 კორესპონდენცია; რეგისტრირებულია 2648 მოხსენებითი ბარათი; რეგისტრირებულია 914 სამსახურებრივი ბარათი; რეგსტრირებულია 1809 მოქალაქის განცხადება; 1893 თანამშრომელთა განცხადება; მომზადდა 4248 ბრძანება თანამშრომელთა დანიშვნა-გათავისუფლების შესახებ; მომზადდა 40 ბრძანება თანამშრომელთა შვებულების შესახებ.

დაგეგმილია სააგენტოში დასაქმებული სპეციალისტებისათვის კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლება ახალ მიდგომებთან დაკავშირებით ტყის მართვის და სატყეო მეურნეობის წარმოების საკითხებში. ამ მიზნით გათვალისწინებულია „კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის“ დაარსება, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის სხვადასხვა სპეციალობებში მომზადების და გადამზადების ორგანიზებას.

3. კანონშემოქმედებითი მუშაობა

სააგენტოს მონაწილეობით შემუშავდა და საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წლის 26 დეკემბერს დამტკიცდა „საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია“, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას საქართველოს ტყეების მიმართ – მათი ძირითადი ფუნქციური დანიშნულებისა და ფასეულობების გათვალისწინებით. კონცეფციის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს ეკონომიკური თვალსაზრისით ტყის რესურსების ეფექტური გამოყენება და ისეთი მექანიზმების განსაზღვრა, რომელიც ორიენტირებულია გრძელვადიან ეკონომიკურ სიკეთეზე და არ არღვევს გარემოსდაცვით პრინციპებს.

კონცეფციის მიზანია ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, ბიომრავალფეროვნების დაცვას, ტყეების ეკოლოგიური ფასეულობების გათვალისწინებით მათი ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას, ტყის მართვაში საზოგადოების მონაწილეობას და მიღებული სარგებლის სამართლიან გადანაწილებას.

მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა გაწეული ტყითსარგებლობის სფეროში არსებული საკანონმდებლო ბაზის შემდგომი სრულყოფისათვის, კერძოდ:

- შემუშავდა და დამტკიცდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება „ტყეკაფის გამოყოფის, გახსნის, დახურვისა და გაუქმების აქტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ (2013 წლის 3 დეკემბერი, №ი-327);
- შემუშავდა და დამტკიცდა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანება „სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ტყეკაფის გამოყოფის, გახსნის, დახურვისა და გაუქმების აქტების შედგენაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“ (2013 წლის 4 დეკემბერი, №13/111);

- შემუშავდა და დამტკიცდა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს 2013 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ (2013 წლის 1 ოქტომბერი, №13/86);
- შემუშავდა და დამტკიცდა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანება ,,საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ (2013 წლის 14 მაისი, №13/02);
- შემუშავდა და დამტკიცდა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ეროვნული სატყეო სააგენტოს სატყეო უბნებად დაყოფის შესახებ“ (2013 წლის 6 ივნისი, N13/31);
- შემუშავდა და დამტკიცდა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს საქმისწარმოების ინდექსებისა და ნომენკლატურის დამტკიცების შესახებ“ (2013 წლის 14 მაისი, №13/03);
- შემუშავდა და დამტკიცდა საქართველოს მთავრობის დადგენილება „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ (2013 წლის 29 ნოემბრი, N302);
- შემუშავდა და მინისტრს წარედგინა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;

- შემუშავდა და დამტკიცდა საქართველოს მთავრობის დადგენილება „ტყის აღრიცხვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“(2013 წლის 17 ივლისი N179);
- შემუშავდა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს რეფორმის კონცეფცია (მიმდინარეობს განხილვები).
- შემუშავდა და მიმდინარეობს განხილვები საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტზე „მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“.
- შემუშავდა ეროვნული სატყეო სააგენტოს 2013 წლის სამოქმედო გეგმა (30 სექტემბრი ბრძანებაN123).

მიმდინარეობს მუშაობა ტყითსარგებლობის წესისა და ზოგადად, სატყეო სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის შემდგომი დახვეწის, ადგილობრივ და საერთაშორისო მოთხოვნებთან ჰარმონიზებისთვის.

ძირითად კანონს ტყეებთან დაკავშირებით საქართველოს ტყის კოდექსი (1999 წ.) ბოლო წლებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, რომელიც ვეღარ უზრუნველყოფს სატყეო დარგის სამართლებრივ რეგულირებას და საფუძვლიან გადამუშავებას საჭიროებს.

2005 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „ლიცენზიებისა და ნებართვების” შესახებ საქართველოს კანონი, რითაც ჩამოყალიბდა ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემასთან დაკავშირებული ზოგადი მიდგომები. აღნიშნულმა კანონმა ძირეულად შეცვალა, როგორც ლიცენზიის გაცემის პროცედურები, ისე ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მთელი რიგი სხვა პრინციპული საკითხები.

კანონის მიღებამ განაპირობა ცვლილებებისა და დამატებების შეტანის აუცილებლობა მთელ რიგ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში, აგრეთვე, ახალი ნორმატიული აქტების შემუშავებაც. მთავრობა ვალდებული იყო 2005 წლის 15 ნოემბრამდე საქართველოს პარლამენტისათვის წარედგინა ამ კანონის მიღებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების პროექტები, თუმცა საკანონმდებლო ცვლილებები არ განხორციელებულა.

შეუსაბამო საკითხების დარეგულირება ხორციელდება მთავრობის ნორმატიული აქტების საფუძველზე. შესაბამისად საქართველოს მთავრობის ნორმატიულ აქტს მიენიჭა საკანონმდებლო აქტის ძალა და ამ აქტით შესაძლო გახდა ისეთი ურთიერთობების დარეგულირება, რომელიც კანონის რეგულირების სფეროს წარმოადგენს. მთავრობის ამ აქტებით ხორციელდება ტყის რესურსებით სარგებლობის ლიცენზირების საკითხების სამართლებრივი რეგულირება დღესაც, რაც ზოგადად წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ საქართველოს ნორმატიული აქტების იერარქიული დაყოფის პრინციპთან.

ის გარემოება, რომ „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N132 დადგენილებაში და „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებაში შესული ათეულობით ცვლილება, ნათელს ჰფენს იმ ფაქტს, რომ მდგრადი და სტაბილური განვითარება ამ სფეროში გაძნელებულია.

მთავარ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დღესდღეობით მოქმედებს საქართველოს ტყის კოდექსი, რომლის რეგულირების სფეროსაც წარმოადგენს ტყის რესურსებით სარგებლობა, მათი მოვლის წესი და სხვა მთელი რიგი საკითხები, რაც ხშირ შემთხვევაში არა მხოლოდ მეწარმეთათვის, არამედ ამ სფეროს მარეგულირებელი ადმინისტრაციული ორგანოებისათვის ქმნის გაურკვევლობას იმ თვალსაზრისით, თუ კერძოდ რომელი ნორმატიული აქტით უნდა იხელმძღვანელონ მათ ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში. ერთის მხრივ საკანონმდებლო აქტს უპირატესი იურიდიული ძალა აქვს საქართველოს მთავრობის დადგენილებასთან მიმართებაში, თუმცა მეორეს მხრივ ეს საკანონმდებლო აქტები შეუსაბამობაშია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონთან და მთელ რიგ სხვა საკანონმდებლო აქტებთან, ისინი პრაქტიკულად ვეღარ არეგულირებენ თავიანთი რეგულირების სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს და შეიძლება ითქვას უმეტესი ნორმები მათში უმოქმედო „მკვდარი“ ნორმებია.

4. საფინანსო საქმიანობა

2013 წლისათვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 1 264,8 ათ. ლარით, აქედან აპარატის ხარჯებისათვის დაიგეგმა - 764,8 ათ. ლარი, ხოლო სატყეო ღონისძიებებისათვის - 500,0 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ცვლილებების შედეგად აპარატის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 964,8 ათ. ლარი, ხოლო სატყეო ღონისძიებებისათვის - 300,0 ათ. ლარი.

სააგენტოს ფაქტობრივმა დაფინანსებამ სახელმწიფო ხაზინიდან შეადგინა 826,6 ათ. ლარი (გეგმის 65,35%). აქედან:

- 33,8 ათ. ლარი მიმართული იქნა სატყეო ღონისძიებებზე, ბორჯომ-ხარაგულის სატყეო უბანზე ჩატარებული ინვენტარიზაციის სამუშაოების დაფინანსებისათვის;
- 229,7 ათ. ლარი - ,,საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებული მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად;
- ,,სხვა ხარჯების“ მუხლით გაწეული იქნა ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი - 39,1 ათ. ლარის ოდენობით.
- ,,არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით დაფინანსდა 524,0 ათ. ლარის აქტივების შესაძენად.



დიაგრამა 3. ფაქტობრივი დაფინანსების დინამიკა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ათ. ლარებში (2005-2013წწ)

საბიუჯეტო სახსრების გარდა, სააგენტოს 2013 წლის 14 მაისიდან დაგეგმილი ჰქონდა სხვა (საკუთარი) შემოსავლების სახით მიეღო 7 176,0 ათ. ლარი, აქედან - 1 956,0 ათ. ლარი სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურეობებიდან, ხოლო - 5 220,0 ათ. ლარი - დაფინანსების სხვა წყაროებიდან (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოდან გადმოცემული სახსრები).

ფაქტობრივად, ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მიღებულმა შემოსავლებმა 4976,50 ათ. ლარი (სავარაუდო გეგმის 70%) შეადგინა (დიაგრამა 4) , მათ შორის:

- მომსახურების საფასურიდან (ხე-ტყის დამზადების ბილეთების გაცემიდან და სხვ.)-1 606,5 ათ. ლარი;
- ტყითსარგებლობის ხელშეკრულებებიდან (საკომუნიკაციო ანძების განთავსებისთვის ტყის ფონდის ტერიტორიაზე) – 813,6 ათ. ლარი;
- ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმისა და სპეციალური ფირნიშების რეალიზაციიდან -44,1 ათ. ლარი;
- სხვა დანარჩენი (გარემოს ეროვნული სააგენტოდან გადმოცემული სახსრები) – 1956,0 ათ. ლარი;

- სხვა არაკლასიფიცირებული (ბანკის სარგებლის დარიცხვა) – 267,4 ათ. ლარი;
- სხვა არაკლასიფიცირებული - 289,0 ათ. ლარი.



დიაგრამა 4. 2013 წლის საკუთარი შემოსავლების სტრუქტურა, ათასი ლარი.

შენიშვნა: აღნიშნული მონაცემები წარმოადგენს ფაქტობრივ მაჩვენებლებს (2013 წლის 14 მაისიდან) - 4976,5 ათ. ლარი.

საკუთარი შემოსავლებიდან გასაწევი ხარჯები დაგეგმილი იქნა 9 376,4 ათ. ლარის ოდენობით. ფაქტობრივად, 2013 წლის გადასახდელებმა შეადგინა 7 180,9 ათ. ლარი (გეგმის 77%). აქედან:

- შრომის ანაზღაურებაზე, რომელიც 2013 წელს მთლიანად საკუთარი სახსრებით დაფინანსდა, მიიმართა 5 452,9 ათ. ლარი (გადასახდელების 76%);
- საქონელი და მომსახურებაზე - 1 487,2 ათ. ლარი (21%);
- სოციალური უზრუნველყოფისათვის - 10,9 ათ. ლარი;

- სხვა ხარჯებისთვის (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები: დღგ, ქონების, მოგების და სხვ.) - 222,6 ათ. ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით - 7,3 ათ. ლარი.

2013 წელს გადასახდელებიდან (7 180,9 ათ. ლარი), გარდა მიმდინარე საოპერაციო ხარჯებისა, 325,0 ათ. ლარი მიიმართა სატყეო ღონისძიებებზე: ტყის მოვლის მიმართულებით განხორციელდა ტყის მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებები, კერძოდ: 2011 წელს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ტყის ფონდში (26267 ჰა) გამოვლენილი წიწვოვანი კორომების ხმობის მიზეზის დადგენის უზრუნველსაყოფად განხორციელებული სატყეო პათოლოგიური გამოკვლევის დასკვნების და რეკომენდაციების შესრულებისა და ტყეების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გამოვლენილი მავნებლის (მბეჭდავიქერქიჭამია - Ips typographus) წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიება: შეძენილი იქნა 5000 ერთეული მწერსაჭერი და 10 000 ერთეული ფერომონიანი პრეპარატი (IPSOWIT®). რომლებიც განთავსდა ადიგენის, ასპინძა-ახალქალაქის, ახალცხის და ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნების ტერიტორიაზე (დიაგრამა 5).



დიაგრამა 5. 2013 წლის გადასახდელები (საკასო შესრულება, ათასი ლარი).
შენიშვნა: აღნიშნული მონაცემები წარმოადგენს 7,5 თვის გადასახდელებს საკუთარი სახსრებიდან – 7 180,9 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით განსახორციელებელ შესყიდვებზე გეგმით გაფორმებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულებამ შეადგინა 1 094,8 ათ. ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 826,6 ათ. ლარი.

საკუთარი სახსრებით განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვებზე (არ შედის ის შესყიდვები, რომლებზეც არ ვრცელდება კანონი ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (მაგ. ელექტროენერგიის, ბ/აირის., წყალმომარაგების, საექსპერტო მომსახურების, ფოსტის და სხვ.), გაფორმებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულებამ შეადგინა 1 164,2 ათ. ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 939, 7 ათ. ლარი (81%).

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოზე სარგებლობის უფლებით 2013 წლის 14 მაისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გადმოცემული იქნა უძრავი ქონება (17 შენობა-ნაგებობა), რომელთა საერთო ფართმა შეადგინა 6549 კვ. მეტრი (დანართი 1).

5. ტყის აღრიცხვა

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს N299 დადგენილების საფუძველზე დადგინდა სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრები.

საზღვრის დადგენისას დაშვებულია რიგი უზუსტობანი, კერძოდ: ტყის ფონდის ტერიტორიებიდან ამორიცხულ იქნა ტყით დაუფარავი ფართობები და მათ შორის: მონაკვეთები იჯარითა და სპეციალური ლიცენზიით გაცემული ტერიტორიებიდან, მდელოები (როგორც ბუნებრივი, ასევე არასწორი ექსპლოატაციის შედეგად გაჩეხილი), სახელმწიფო ტყის ფონდში არსებული წყლის ობიექტებისა და სატყეო-სამეურნეო გზების ცალკეული მონაკვეთები და ა.შ. აღნიშნულმა გარემოებამ გამოიწვია ტყის ფონდის ტერიტორიების ფრაგმენტაცია. მიუხედავად სააგენტოს მიერ საკითხის არაერთხელ დაყენებისა, საკითხი რჩება დაურეგულირებელი, რაც აუცილებლად შექმნის ხელისშემშლელ პირობას მომავალში ტყის ფონდის ერთიანად მართვისა და მდგრადი სარგებლობისათვის.

ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა ქვეყნის მასშტაბით ტყის რესურსის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ მონაცემების არარსებობა, რაც თავისთავად არ იძლევა როგორც ტყეებისათვის აუცილებელი სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების სრულყოფილად დაგეგმვისა და განხორციელების, ასევე სარგებლობის სახეების იდენტიფიცირების, პრიორიტეტიზაციის და ტყითსარგებლობის ეფექტურად განხორციელების საშუალებას.

ზემოაღნიშნული მონაცემების მოპოვების ერთდაერთ წყაროს ტყის ინვენტარიზაცია წარმოადგენს, რომელიც ამავდროულად ტყეების მდგრადი მართვის საფუძველია. ინვენტარიზაციით ზუსტდება სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვარი, განისაზღვრება ტყეების შემადგენლობა, ტყეში არსებული რესურსის მარაგი, მდგომარეობა, დგინდება ფართობები ტყეების აღდგენა-გაშენებისათვის, ხე-ტყის დამზადებისათვის და სხვადასხვა სახის ტყითსარგებლობისათვის (არამერქნული, რეკრეაციული და სხვა).

სახელმწიფოს მიერ საქართველოს ტყეების ინვენტარიზაცია 15 წელზე მეტია არ ჩატარებულა. შესაბამისად, დღეს არსებული მონაცემები არ შეესაბამება რეალობას და არ იძლევა საშუალებას დაგეგმილი იქნეს ტყისთვის აუცილებელი ღონისძიებები.

სააგენტოს ჩამოყალიბების დღიდან, დაიწყო ზემოაღნიშნული პრობლემების აღმოფხვრის სამუშაოები, კერძოდ:

- დაზუსტდა ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნის ტყის ფონდის გარე კონტურები, ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნის მთლიანმა ფართობმა შეადგინა - 45000 ჰა, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2013 წლის 13 აგვისტოს №13/66 ბრძანებით დამტკიცდა ტექნიკური დავალება ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნის ტყის მართვის გეგმის შედგენის და ტყის აღრიცხვის სამუშაოების განსახორციელებლად. ამჟამად მიმდინარეობს ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბანში ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოები. ამ ეტაპისთვის სააგენტოში წარმოდგენილია ინფორმაცია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირველი ეტაპისთვის შესრულებულ სამუშაოებზე - 9917 ჰა ფართობზე.
- დაზუსტდა ხარაგაულის სატყეო უბნების ტყის ფონდის გარე კონტურები, ხარაგაულის სატყეო უბნის მთლიანმა ფართობმა შეადგინა - 48000 ჰა. ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2013 წლის 10 ოქტომბერს №13/88 ბრძანებით დამტკიცდა ტექნიკური დავალება ხარაგაულის სატყეო უბნის ტყის აღრიცხვის სამუშაოების განსახორციელებლად.
- დაზუსტდა ტყიბულის სატყეო უბნის და ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობები, ტყიბულის სატყეო უბნის ფართობმა შეადგინა - 28778,6 ჰა, ხოლო]ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულმა ფართობმა სულ 144140,4 ჰა შეადგინა. შესაბამისი ინფორმაცია რეგისტრაციისათვის გაიგზავნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში სარეგისტრაციო სამუშაოების განსახორციელებლად გაიგზავნა საკომუნიკაციო ნაგებობების განსათავსებელად გათვალისწინებული სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობები.
- შეიქმნა საკომუნიკაციო ნაგებობების განსათავსებელად გაცემული სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობების მონაცემთა ბაზა.
- შეიქმნა სააგენტოს მიერ სხვადასხვა ორგანიზაციებზე სპეციალური დანიშნულებით გაცემული ტყის ფონდის ფართობების მონაცემთა ბაზა.
- შეიქმნა ხე-ტყის დამზადებისა და სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით სპეციალური ლიცენზიების საფუძველზე გაცემული ტყის ფონდის ფართობების მონაცემთა ბაზა.

განხორციელდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროექტებით წარმოდგენილი ფართობების, მათ შორის, განფენილი ტყის ფონდის ტერიტორიებზე შესწავლა-ანალიზი, რომლის საფუძველზეც ეროვნული სატყეო სააგენტოს შენიშვნები და რეკომენდაციები მიეწოდა სამინისტროს დასკვნის მომზადების უზრუნველსაყოფად:

- შპს „ენერგოტრანსი“-ს მიერ წარმოდგენილი 500/200 კვ. ჯვრის ქვესადგურისა და ელექტრო გადამცემი ხაზების მშენებლობისა და ექსპლუატაციის გზშ-ს პროექტით წარმოდგენილი ფართობიდან, (310 596,0 კვ.მ) 76 255,1 კვ.მ. ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე, კერძოდ, ყოფილი წალენჯიხის სატყეო უბნის ჭალეს სატყეოს ფართობზე;
- სს „საქართველოს რკინიგზა“-ს მიერ წარმოდგენილი ხაშური-ზესტაფონის მონაკვეთის მოდერნიზაციის ფარგლებში დაგეგმილ მე-9 გვირაბის დასავლეთ პორტალის პროექტში შეტანილი ცვლილებების გზშ პროექტით წარმოდგენილი Shp ფაილით სარკინიგზო მაგისტრალის მთლიანი ფართობია 78 828,9 კვ.მ. აქედან, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ხვდება 43 945 კვ.მ, კერძოდ, ხარაგაულის სატყეო უბნის ფართობზე;

- საქართველოს რეგიონალური და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი E-60 ავტომაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის 11,5კმ-30,0 კმ მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გზშ-ს პროექტით წარმოდგენილი Shp ფაილებით ავტომაგისტრალის მშენებლობისა და ექსპლუატაციის მთლიანი ფართობია 1 481 809,49 კვ.მ. აქედან, 33 740,45 კვ.მ სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ხვდება.
- საქართველოს რეგიონალური და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი E-60 ავტომაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის 0კმ-11,5 კმ მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გზშ-ს პროექტით წარმოდგენილი Shp ფაილებით ავტომაგისტრალის მშენებლობისა და ექსპლუატაციის მთლიანი ფართობია 1 097 917,8 კვ.მ აქედან, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ხვდება 6 290,0 კვ.მ.
- „RMG Gold“-ის მიერ წარმოდგენილი ბოლნისის რაიონის დაბა კაზრეთში „საყდრისის საბადოს წიაღისეული რესურსების ათვისებისა (კარიერი) და მადნის გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციის გზშ-ს პროექტით წარმოდგენილი Shp ფაილით საწარმოს ექსპლუატაციის მთლიანი ფართობი 2123455,2 კვ.მ-ია. აქედან, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე 178 ჰა ხვდება;
- შპს „RMG Gold“-ის სალიცენზიო ფართობში არსებული მაგისტრალური გაზსადენის წითელი ხიდი-წალკა-ახალქალაქის განშტოების „საყდრისის“ საბადოს „ყაჩაღიანის“ უბანზე გამავალი მონაკვეთის გადატანის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროექტით წარმოდგენილი გეოგრაფიული (UTM) კოორდინატებით მაგისტრალური გაზსადენის მთლიანი ფართობია 28 584,9 კვ.მ. აქედან, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ხვდება 4 498,5 კვ.მ, კეძოდ ბოლნისის სატყეო მეურნეობის კაზრეთის სატყეოში; შპს „RMG Gold“-ის მეორე პროექტში წარმოდგენილი კოორდინატებით მაგისტრალური გაზსადენის მთლიანი ფართობი შეადგენს 32 346 კვ.მ. აქედან, 5 064,8

კვ.მ წარმოადგენს სახელმწიფო ტყის ფონდს, კერძოდ ბოლნისის სატყეო უბნის კაზრეთის სატყეოს;

- სს „ადო ჯორჯია მაინინგი“-ს ბარიტის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის გზშ-ს პროექტით წარმოდგენილი Shp ფაილით ბარიტის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის მთლიანი ფართობია 82 290,5 კვ.მ. აქედან, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე 722,7კვ.მ. ხვდება;
- სს „საქართველოს რკინიგზას“ თბილისი-მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაციის ფარგლებში სოფ.ბეჟათუბნის ტერიტორიაზე მარშუტის ცვლილების (მე-7 და მე-8 გვირაბი)გზშ-ს პროექტით წარმოდგენილი Shp ფაილით სარკინიგზო მაგისტრალის მთლიანი ფართობია 255 478 კვ.მ. აქედან, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ხვდება 35 412,7 კვ.მ;
- შპს „ტრანს ელექტრიკა ჯორჯია“-ს მიერ წარმოდგენილი, მდ. ენგურზე 702 მგვტ სიმძლავრის ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის გზშ-ს პროექტით წარმოდგენილი Shp ფაილებით ჰესის ასაშენებლად გათვალისწინებული ფართობიდან (1544 ჰა), ტყის ფონდის ტერიტორიებიდან დატბორვისა და გზის მშენებლობის ზონაში მთლიანად ექცევა 366 ჰა ფართობი, მათ შორის, ტყით დაფარული 349.6 ჰა.
- სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“-ს მდინარე წაბლარისწყალზე 14,62 მგვტ სიმძლავრის წაბლარი-2 ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროექტით გათვალისწინებული ფართობიდან (77805,5 კვ.მ.) 51845,3 კვ.მ. ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე, კერძოდ ბაღდათის სატყეო მეურნეობის საირმის სატყეოსა და ვანის სატყეო მეურნეობის საირმე-ვანის სატყეოს ფართობებზე. აქვე აღსანიშნავია, რომ 51845,3 კვ.მ.-დან 37464,47 კვ.მ. მდებარეობს ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიით გაცემულ ტერიტორიაზე.

2013 წელს სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობებიდან კორექტირებულია (ამორიცხული) 265 068.08 $მ^2$ ფართობი (ცხრილი 1).

ცხრილი 1

მცხეთა-მთიანეთი				
სატყეო უბანი	**კორექტირება (ჰა/კვმ)**			
	სატყეო	**კვარტალი №**	**ლიტერი №**	**ფართობი (კვმ)**
ფასანაური	დუშეთი	17, 18		**129228.08**
სამცხე-ჯავახეთი				
ტყიბული	თერჯოლა	9	7,11,3,8	**7886**
იმერეთი				
წყალტუბო	თერჯოლა			**6263**
ხონი	ძეძილეთი			**2826**
	ხონი			**31384**
წყალტუბო	ცხუნკური	ქ.ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირის მე-5 შესახვევის 1-ის მიმდებარედ		**1285**
რაჭა-ლეჩხუმი				
ამბროლაური	სადმელი	55	8	**494**
სამეგრელო-ზემო სვანეთი				
სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანის საჯარო სკოლის ტერიტორიაზე არსებული ტყის ფონდი				**1136**
მესტია	მესტია, იფარი			**63345**
მესტია	მესტია	30	1	**381**
ჩხოროწყუ	ჩხოროწყუ			**5599**
კახეთი				
თელავი	ნაფარეული			**4089**
თელავი	ნაფარეული	75	5	**349**
თელავი	თელავი	53	3,9	**1105**
თელავი	ნაფარეული	19	9	**18**
ყვარელი	ახალსოფელი	97	9	**67**

ყვარელი	შილდა	32	20	**150**
			2	**16**
ქვემო ქართლი				
ბოლნისი	კაზრეთი			**9447**
სულ ჯამი:				**265068.08**

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინაშე სააგენტოს მიერ დაისვა საკითხი ტყის ფონდის 48 358 737კვ.მ. ფართობის კორექტირების (ჩარიცხვის) შესახებ (ტყიბული რაიონი - 5 590 403 კვ.მ; ქვემო ქართლი - 42 768 334 კვ.მ.), რის საფუძველზე ტყის ფონდში ჩარიცხულ იქნა 12 855 365 კვ.მ. ფართობი (ტყიბული - 5 431 283 კვ.მ; ქვემო ქართლი - 7 524 082 კვ.მ.).

2014 წელს დაგეგმილია:

- საჯარო რეესტრის მიერ დადგენილი სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობების Shp-ფაილების დაყოფა სატყეო უბნებად და სატყეოებად, ყოფილი საკოლმეურნეო ტყეების სატყეო უბნებად დაყოფა ან სატყეო უბნებზე მიკუთვნება, შესაბამისი სახელმძღვანელო რუკების მომზადება.
- აგრეთვე, ტყის ინვენტარიზაციას დასაქვემდებარებელ სატყეო უბნისთვის აეროფოტო სურათებით უზრუნველყოფის და მის საფუძველზე ორთოფოტო გეგმების შედგენა;
- ტყის კორომთა გეგმების მიხედვით ტყის ფონდის ფართობების საზღვრების დაზუსტება.

6. ტყით სარგებლობა

ტყეებში მერქნული და არამერქნული რესურსებით სარგებლობის რაციონალურად რეგულირება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა.

მთის ტყეების ფუნქციონალური დანიშნულების გათვალისწინებით ცალკეული კატეგორიის ტყის მასივებში მერქნული რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობები შეზღუდულია, კერძოდ: საკურორტო ტყეებში, მწვანე ზონის ტყეებში, აღკვეთილებში, ეროვნული პარკებში, ასევე განსაკუთრებული ფუნქციური დანიშნულების უბნებში.

აღსანიშნავია, რომ მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის საექსპლოატაციო ტყის უბნები, გაფანტულია მთლიან ტერიტორიაზე მცირე ფართობების სახით. ასეთი მდგომარეობა აიძულებს კერძო მეწარმეებს ხშირ შემთხვევაში უარი თქვან მათ მიერ რთულად მისადგომ უბნებში დამზადებული მერქნული რესურსის იმ ნაწილზე, რომელიც კომერციულ ფასეულობას არ წარმოადგენს და დატოვონ ადგილზე.

ტყითსარგებლობის ორგანიზაციის სრულყოფა სატყეო-სამეურნეო კომპლექსის ფუნქციონირების და განვითარების ძირითადი სტრტეგიაა და ყოველთვის დარგის მეცნიერ-პრაქტიკოს მეტყევეთა მრავალწლიანი ზრუნვისა და კვლევის საგანი იყო.

მერქნული რესურსებით სარგებლობის მოცულობის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის და ტყის მრავალმხრივი სასარგებლო ფუნქციების (წყალმარეგულირებელი, ნიადაგდაცვითი, საკურორტო-გამაჯანსაღებელი და სხვა) შენარჩუნება-გაუმჯობესება.

ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ სააგენტოს გამგებლობაში არსებული ტყეების საშუალო წლიური შემატება 3.4 მილიონ კბმ-ია, ხოლო უახლოეს წლებში განსაზღვრული ყველა სახის ჭრებით მოსაჭრელი ხე-ტყის ოდენობა ერთ მილიონ კბმ-ს არ აღემატება, ანუ შესაძლებელია მოიჭრას მთელი შემატების 29%, რაც

საშუალოდ 1 ჰა-ზე 0,52 კბმ-ს შეადგენს. ეს უკანასკნელი მაჩვენებელი ევროპის ქვეყნებში 2,5 კბმ.-ით განისაზღვრება.

არსებული მონაცემებით, სახელმწიფო ტყის ფონდში ხე-ტყის დამზადების მაჩვენებლები (მ.შ კომერციული და სპეციალური სარგებლობა) უკანასკნელი წლების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა (დიაგრამა 6):



დიაგრამა 6. ტყის ჭრის დინამიკა, 2000-2013 წ.წ.

როგორც გრაფიკიდან ჩანს ხე-ტყის ოფიციალური დამზადების მოცულობა 2011-2012 წლებში შემცირდა და დასცილდა ყოველწლიურად მოსაჭრელად დასაშვებ ოდენობას.

აღსანიშნავია, რომ 2013 წელს 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ხე-ტყის გაცემის ჯამური მონაცემები გაზრდილია 1.4-ჯერ (გაცემულია 176 009.6 კბმ. ხე-ტყით მეტი).

მოთხოვნილება რომელიც არსებობს საქართველოს ხე-ტყის ბაზარზე მეტ-ნაკლებად სტაბილურია. წინა წლებში ლეგალურ ხე-ტყეზე მოთხოვნილების შემცირება გამოწვეული იყო ტყით სარგებლობის არასრულფასოვანი ორგანიზაციით.

2013 წელს მერქნული რესურსის გაცემის მაჩვენებლების და მოპოვებული მოცულობის ზრდა, გამოწვეულია ტყით სარგებლობის ორგანიზაციის სრულყოფის კუთხით სააგენტოს მიერ გაწეული მუშაობის, აგრეთვე კონტროლის გააქტიურებით.

2013 წელს გამოყოფილია 446 254.4 კბმ. მოცულობის სოციალური ჭრის ტყეკაფები (მ.შ. 436 957.6 კბმ. II ხარისხის ხე-ტყის მიღების მიზნით); ხე-ტყის დამზადების ბილეთით გაყიდულია 554 680.8 კბმ (მ.შ. 536 552.8 კბმ.II ხარისხის ხე-ტყის მიღების მიზნით), ხოლო ათვისებულია 504 451.1 კბმ, მათ შორის, 482 239.3 კბმ. II ხარისხის ხე-ტყის მიღების მიზნით (დიაგრამა 7).



დიაგრამა 7. სოციალური ჭრის ტყეკაფები, 2013 წ.

ხე-ტყის დამზადების ბილეთით გაყიდული და ათვისებული მოცულობის მეტობა გამოყოფილი ტყეკაფების მოცულობებთან გამოწვეულია წინა წლებში გამოყოფილი და აუთვისებელი ტყეკაფების ათვისების ხარჯზე.

2013 წელს სოციალური ჭრის ტყეკაფებიდან ხე-ტყის დამზადების ბილეთებით გაყიდული და ათვისებული მოცულობების შესახებ მოცემულია მე-8, 9 დიაგრამებში.



დიაგრამა 8. სოციალური ჭრის ტყეკაფებიდან ხე-ტყის დამზადების ბილეთებით გაყიდული მოცულობა, 2013წ.



დიაგრამა 9. სოციალური ჭრის ტყეკაფებიდან ათვისებული მოცულობა, 2013 წ.

გაფორმდა 14 სპეციალური ტყითსარგებლობის ხელშეკრულება და შემუშავდა 10 ხელშეკრულების პროექტი ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ 1383252 $м^2$ ფართობზე (დანართი 2).

ეფექტური ტყის მართვის ერთ-ერთი წინაპირობაა კარგად დაგეგმილი სატყეო-სამეურნეო გზების ქსელი, რაც ხელს უწყობს ტყის ექსპლუატაციას და ტყის დაცვას. სატყეო-სამეურნეო გზებს შეუძლია სოფლის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება; განვითარებული საგზაო ინფრასტრუქტურა აგრეთვე ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას.

ტყითსარგებლობის ორგანიზაციის სრულყოფა შეუძლებელია სატყეო-სამეურნეო გზების ქსელის შემდგომი განვითარების გარეშე. მსოფლიო ტრადიციული მეტყევეობის ქვეყანაში, მაგ. გერმანიაში 1 კვ.კმ საექსპლუატაციო ფართობზე მოდის 2,5 კმ. სატყეო-სამეურნეო მნიშვნელობის გზა. ხოლო საქართველოში - ყოველ 1 კვ.კმ საექსპლუატაციო ფართობზე - მხოლოდ 0,5 კმ.

2013 წელს შიდა ქართლის რეგიონში (ხაშურის სატყეოში) მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მოხდა 10 კმ-მდე სატყეო სამეურნეო გზის რეაბილიტაცია.

კახეთის რეგიონში თელავის რაიონში სოფ. ვარდისუბანთან განხორციელდა 1,3 კმ სატყეო გზის მშენებლობა-რეაბილიტაცია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდატყის პროდუქტების ბაზრების მიმოხლვა. ამ მიზნით ჩატარდა: სტატისტიკური ინფორმაციის მოძიება დაუმუშავებელი ხე-ტყის ექსპორტ-იმპოტის შესახებ (2000-2013წწ), საქართველოს ბაზარზე არსებული ხე-ტყის გასაყიდი ფასების თაობაზე, მსოფლიო, მათ შორის მეზობელი ქვეყნების ბაზარზე არსებული ხე-ტყის ფასების შესახებ, საქართველოში (2000-2012 წწ) ტყის ჭრით მიღებული ხე-ტყის მოცულობის თაობაზე, უკანონო ჭრების თაობაზე და სხვა.

დაგეგმილია 2014 წელს მოსახლეობის მიერ მერქნული რესურსის ეფექტიანად ათვისების უზრუნველსაყოფად სატყეო-სამეურნეო გზების მოწყობა 17 კმ-ზე. ასევე გათვალისწინებულია ტყის მასივების ჩახერგილ უბნებში მერქნის აღრიცხვა.

7. ტყის მოვლა-აღდგენა

სატყეო დარგის შინაარსობრივი ფუნქციიდან გამომდინარე, სააგენტოს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ტყის მოვლისა და აღდგენის ღონისძიებების განხორციელება. სააგენტო ახორციელებს ტყეების აღდგენასა და ტყეების მოვლას.

ტყის აღდგენისა და მოვლის ღონისძიების მიზანია ტყის მდგრადი, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება, მისი ბუნებრივი სასარგებლო თვისებებისა და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება. ამასთან, ტყეების თვითაღდგენისა და კვლავწარმოების თვისების მიუხედავად მნიშვნელოვანია ტყის აღდგენისა და გაშენების ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფს ტყით დაფარული ფართობების ზრდას, ბუნებრივი მოზარდ-აღმონაცენის შენარჩუნებას და სახეობრივი შემადგენლობის რეგულირება-გაუმჯობესებას.

წლების განმავლობაში არასწორი ტყითსარგებლობის შედეგად საქართველოს ტყის ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი დეგრადირებულია, თუმცა წლების განმავლობაში სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ ხორციელდებოდა, ან მცირე მასშტაბებით ხორციელდებოდა ტყის მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები.

ბოლო წლებში გამოიკვეთა საქართველოს ტყეებისათვის დიდი ზიანის მომტანი ქერქიჭამიების, ფოთლისა და წიწვის ისეთი მავნებლების გააქტიურება როგორებიცაა არაფარდა პარკხვევია, ოქროკუდა, ამერიკული თეთრი პეპელა, ფიჭვის პარკხვევია, ცქვლეფია, მოზამთრე მზომელები, ფიჭვის ქარციხერხია, ასევე წაბლის ქერქის კიბო და სხვა, რაც ზრდის ტყეებში მასიურ დაავადებათა კერების გაფართოებისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებისალბათობას.

თუმცა აღსანიშნავია, რომ დაზუსტებული მონაცემები ტყეების სანიტარული მდგომარეობისშესახებ არ არსებობს, რადგან ბოლო წლების მანძილზე არ განხორციელებულა სრულფასოვანი შესწავლა ქვეყნის მასშტაბით.

2013 წელს სააგენტოს მიერ ამ მიმართულებით განხორციელდა გარკვეული სამუშაობები, კერძოდ:

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ახალციხის, ასპინძა-ახალქალაქის, ადიგენისა და ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნების ტერიტორიაზე წიწვოვანი კორომებში (26267 ჰა) 2011 წელს განხორციელებული სატყეო პათოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე საანგარიშო პერიოდში მოხდა ფერომონიანი მწერსაჭერების განთავსება და მონიტორინგი. სულ განთავსდა 5156 ფერომონიანი მჭერი.

აღნიშნული ღონისძიების შედეგად 19 000 ჰა ფართობზე დაჭერილ იქნა სამ მილიონამდე მწერი და გადარჩენილ იქნა 250 000-მდე ხე. უკანასკნელად მავნებლის წინააღმდეგ ბიოლოგიური ბრძოლის ღონისძიება (ფერომონიანი მწერსაჭერების განთავსება) განხორციელდა2003-2004 წლებში ბორჯომში.

აღსანიშნავია, რომ მავნებელთან ბრძოლის საუკეთესო შედეგის მიღების უზრუნველსაყოფად სააგენტოს მიერ 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით დაიგეგმა აღნიშნული პროცესის გაგრძელება. კერძოდ: 2014 წლის ფერომონიანი პრეპარატის (IPSOWIT®) 21000 ერთეულისა და დამატებით 2000 ერთეული მწერსაჭერების შეძენა, 2014 წლის გაზაფხულზე მწერსაჭერების განთავსება და შემდგომ მონიტორინგის ორგანიზება.

იმერეთის რეგიონში დაავადებული წაბლნარი კორომების სანიტარული ჭრების ეფექტიანობის ობიექტური შეფასების მიზნით სააგენტოს მიერ განხორციელდა ტყიბულის, ხარაგაულის, ჭიათურის და ზესტაფონის სატყეო უბნების დაავადებული წაბლნარების ჭრაგავლილ ფართობებზე სატყეო პათოლოგიური კვლევა.

საანგარიშო პერიოდში რეგიონალური სატყეო სამსახურიდან ტყის მოვლის ღონისძიებებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოწოდების უზრუნველსაყოფად, შემუშავდა სპეციალიზებული ფორმები (ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები, სასიგნალო ფორმა მავნებელ-დაავადებათა გამოვლენის შემთხვევებისთვის და სხვა).

შემოსული ინფორმაციების საფუძველზე შეიქმნა ერთიანი მონაცემთა ბაზა, რომლის მიხედვითაც დაიგეგმება 2014 წელს განსახორციელებელი კონკრეტული ღონისძიებები.

2014 წელს განსახორციელებელი პრიორიტეტული მიმართულებებია:

- სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მავნებელთან ბრძოლის ღონისძიებების განხორციელება (26 000 ჰექტარზე);
- ბზის ხმობის ინტენსივობის დადგენის, ხმობის მიზეზების დაზუსტებისა და დაავადებასთან ბრძოლის მეთოდიკის (ოთხი მიმართულებით: პრევენცია, მანიპულაცია, აღმოფხვრა, აღდგენა) შემუშავების მიზნით სატყეო პათოლოგიური გამოკვლევა;
- ბახმაროს სატყეო უბნის (დაზუსტებული სატყეო უბნის ფართობი - 2399 ჰა) სატყეო პათოლოგიური გამოკვლევა;
- მცხეთა-მთიანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში მზომელების (Erannis defoliaria, Operophtera brumata) წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები;
- საინფორმაციო დაფების და სპეციალური ნიშნების მომზადება, განსაკუთრებით ხანძარსაშიშ უბნებში განთავსება (ძირითადად საკურორტო ტყეებში რეკრეაციული ზონების მიმდებარედ და ა.შ);
- პირველადი ინვენტარის (ნიჩაბი, ბარი და ა.შ), ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობის, ცეცხლმაქრი საშუალებებისა და ტექნიკის შეძენა;
- მინერალიზებული ზოლების, ხანძარსაწინააღმდეგო გზების/ბილიკების და წყლის რეზერვუარების მოწყობა;
- განსაკუთრებით ხანძარსაშიში პერიოდისთვის (ივლისი-სექტემბერი) გამაფრთხილებელი/საინფორმაციო განცხადებების გავრცელება - განსაკუთრებული სიფრთხილით მოქცევისა და ტყეში ცეცხლის დანთების ზოგადი მოთხოვნების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ 90-იანი წლებიდან არ განხორციელებულა ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები (ხანძარსაშიშ უბნებში ბილიკების მოწყობა-შეკეთება და სხვ.), რაც თავის მხრივ, ტყეებში ხანძრის წარმოშობის რისკებს ზრდის.

2013 წელს ტყის ფონდის ტერიტორიაზე დაფიქსირებულ იქნა ხანძრის 35 შემთხვევა, 87.62 ჰა ფართობზე.

უკანასკნელ წლებში ხანძრით მოცული ფართობების თაობაზე სტატისტიკური მონაცემები მოცემულია მე-10 დიაგრამაში.



დიაგრამა 10. ხანძრით მოცული ტყის ფართობი, ჰა

საანგარიშო პერიოდში 2008 წელს ხანძრით განადგურებული ტყის ფონდის ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნის ფართობებზე ტყის აღდგენის მიზნით შეირჩა 16,3 ჰა ფართობი, შემუშავდა და დამტკიცდა შესაბამისი ტყის აღდგენის პროექტი.

პროექტის თანახმად განხორციელდა:

1. ტერიტორიის მომზადება (გამხმარი, დამწვარი და დაზიანებული მერქნიანი მცენარეებისაგან და ბუჩქნარისაგან გაწმენდა) - 120.000 კვ.მ;
2. ტერიტორიის შეღობვა - 1900 მეტრი (შეიღობა არსებული სტანდარტების მიხედვით, ეკლიანი მავთულხლართით);

3. ბაქნების მოწყობა დასათესად - ზომა 0.5მX0.5მ, ტერიტორია 3,750 კვ.მ;
4. ბაქნების და ორმოების მომზადება დასარგავად - ზომა 0.5მX0.5 მ, ტერიტორია 4 250 კვ.მ;
5. დარგვა - 17000 ნერგი;
6. დათესვა - 60 კგ თესლი.

მერქნიანი მცენარეები გაშენდა შემდეგი პროცენტული პროპორციით: ნაძვი 14% - 2400 ცალი, სოჭი 12%-2000 ცალი, კავკასიური ფიჭვი 23%- 3850 ცალი, წიფელი 18 % - 3000 ცალი, მაღალმთის მუხა 17% - 3000 ცალი, 10% - 1750 ცალი პანტა და 6% - 1000 ცალი მაჟალო.

თესვა განხორციელდა 6 ჰა ფართობზე, სადაც მომზადდა 15000 ბაქანი. ბაქნები განლაგდა რელიეფისა და ბუნებრივი განახლების მდგომარეობის მიხედვით. 3750 ბაქანზე 25%-ზე დაითესა ნაძვის თესლი, ამავე რაოდენობის ბაქნებზე დაითესა სოჭის თესლი, ფიჭვის თესლი დაითესა 1500 ბაქანზე სულ10%-ზე. ამავე რაოდენობის ბაქნებზე დაითესა წიფლისა (10%) და მუხის (10%) თესლები. 750 ბაქანზე სულ 5%-ზე დაითესა ცაცხვის თესლები, ამავე რაოდენობის ბაქნებზე ასევე 5%-ზე (სულ 15%-ზე) ცალ-ცალკე დაითესა პანტის, მაჟალოსა და ნეკერჩხლის თესლები.

აღდგენის ღონისძიებები განხორციელდა ფინეთის მთავრობის დაფინანსებით, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის „მდგრადი განვითარება და გარემოს მიმართ პასუხისმგებლობა“ ფარგლებში.

2013 წელს საქართველოს მთავრობის განკარგულებითა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით ტყის ფონდში ეკო-კომპენსაციის ღონისძიებების განხორციელება დაევალა შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“-ს (14,5 ჰა) და შპს „კვარციტის“ უფლებამონაცვლე „RMG GOLDI” -ს (11,6 ჰა).

სააგენტოს მიერ შეირჩა ზემოაღნიშნული საკომპენსაციო ფართობები გარდაბანი-მარნეულის სატყეო უბნის მარტყოფის სატყეოს კვარტალ N36-ში.

უკანასკნელ წლებში ტყის აღდგენა-გაშენების თაობაზე სტატისტიკური მონაცემები მოცემულია მე-11 დიაგრამაში.



დიაგრამა 11. ტყის აღდგენა-გაშენების დინამიკა, 2000-2013 წ.წ.

2009-2010 წლებში ტყის ფონდის ტერიტორიაზე განხორციელდა აღდგენა-გაშენების ღონისძიებები სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ. ადგილზე ფაქტიური მდგომარეობის გაცნობისა და შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით, დაიგეგმა აღნიშნული ფართობების საველე შესწავლები.

კლიმატური პირობების და შესაძლებლობის ფარგლებში, ადგილზე შემოწმებულ იქნა გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამის (GIZ) მიერ კახეთის რეგიონში დედოფლისწყარო-სიღნაღის სატყეო უბნის ვაშლოვანის სატყეოს კვარტალი №23-ის №1, №2 და ნაწილობრივ №3 ლიტერებში 10 ჰა ფართობზე გაშენებული ტყის კულტურების მდგომარეობა.

შეფასების შედეგად გამოვლინდა, რომ 2010 წელს გაშენებული იფნის, აკაციის და ფშატის ნარგაობის საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მიუხედავად 2012 წელს ფართობზე გაჩენილი ხანძრისა, იმ ნერგებზე, რომლებიც უშუალოდ

მოექცნენ ხანძრის გავრცელების არეალში და დაუზიანდათ ღერო, შეიმჩნევა ფესვის ყელიდან განახლება. ღობის მთლიანობა დარღვეული არ არის.

ასევე, შიდა ქართლის რეგიონში, ხაშურის სატყეოს მე-3 კვარტლის ნაწილს (სატაქსაციო უბნები /ლიტერები/: №№5-7 და №№9-30) – საერთო ფართობით 79,7 ჰექტარზე ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მიერ „კლიმატის ცვლილების პირობებში ტყის ეკოსისტემების მდგრადობის ამაღლება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში" ფარგლებში განხორციელებული მონოკულტურების ტრანსფორმაციის მიმდინარე პროცესი.

ფართობზე ეტაპობრივად მიმდინარეობს დარგვისა და ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ღონისძიებები. დღეის მდგომარეობით გაშენებული ნარგაობის საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. გაშენებული ნერგებიდან სხვა სახეობებთან შედარებით, შეიმჩნევა მუხის სახეობის ნერგების ხმობა. ფართობზე ასევე შესამჩნევია ბუნებრივი განახლების პროცესი, წიწვოვანი მოზარდ-აღმონაცენის სახით. ფართობი დაცულია ღობით, რომლის მთლიანობა დარღვეული არ არის.

წინა წლებში აღდგენილი ფართობების საველე შემოწმებების პროცესის გაგრძელება დაგეგმილია 2014 წლის განმავლობაშიც.

რეგიონალური სატყეო სამსახურიდან ტყის აღდგენის ღონისძიებებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოწოდების უზრუნველსაყოფად, შემუშავდა სპეციალიზებული ფორმები (სანერგისთვის შერჩეული, აღდგენას დასაქვემდებარებელი ფართობები, დეგრადირებული კორომები და სხვა). შემოსული ინფორმაციების საფუძველზე მიმდინარეობს მუშაობა ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნაზე, რომლის მიხედვითაც დაიგეგმება 2014 წელს განსახორციელებელი კონკრეტული ღონისძიებები.

2014 წელს განსახორციელებელი პრიორიტეტული მიმართულებებია:

- მარტყოფის სატყეო უბანში ეკოკომპენსაციისთვის შერჩეულ ფართობებზე (27 ჰა.) ტყის აღდგენის ღონისძიებების განხორციელება;
- ტყის დროებითი სანერგეების მოწყობა. შერჩეულ სატყეო უბნებზე, საერთო ჯამში (ქვეყნის მასშტაბით) დაახლოებით 5-ჰა;

- პრიორიტეტული აღსადგენი ფართობების შერჩევა, ტყის აღდგენის პროექტების შემუშავება და დაპროექტებული ღონისძიებების განხორციელების ორგანიზება;
- ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნის ტბის სატყეოში ნახანძრალ ტერიტორიაზე გაშენებული ტყის კულტურების ინვენტარიზაცია;
- ბორჯომის ხეობაში ხანძრით განადგურებული ტყის ტერიტორიაზე აღდგენითი ღონისძიებების გაგრძელება (40 ჰა);
- სატყეო პათოლოგიური გამოკვლევების განხორციელება (ბზის გავრცელების არეალი და ბახმაროს სატყეო უბანი);
- მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებების განხორციელება.

8. სახელმწიფო კონტროლი

სააგენტოს მიერ საანგარიშო პერიოდში გამოვლენილი იქნა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 1078 ფაქტი:

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის - 947 ფაქტი;
- სისხლის სამართლის ნიშნების მქონე - 131 ფაქტი, რომლებიც გადაგზავნილია სამართალთამდამცავ ორგანოებში;
- ადმინისტრაციული წესით დაკისრებული ჯარიმის საერთო თანხამ შეადგინა 312 700 ლარი;
- გარემოსათვის მიყენებული ზიანის თანხამ შეადგინა 418 284 ლარი.

სამართალდარღვევათა სტრუქტურა

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევების უმეტესობა (88%) შედგენილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 66-ე მუხლის შესაბამისად (უკანონო ტყითსარგებლობა, ტყითსარგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევით) - 832 ფაქტი;
- ასკ 128[2]-ე მუხლის შესაბამისად (ხე-ტყის ტრანსპორტირების წესების დარღვევა) - 93 ფაქტი (10 %);
- სხვა მუხლებით (ასკ 49-ე, 51-ე, 64-ე, 65-ე, 66[1], 71-ე და 86-ე) – 22 ფაქტი.

სამართალდარღვევათა სატრუქტურა (სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული) ასახულია მე-12 დიაგრამაში.



დიაგრამა 13. სამართალდარღვევათა სტრუქტურა, 2013 წ.

სამართალდარღვევათა გამოვლენის სტატისტიკა რეგიონების მიხედვით მოცემულია მე-13 დიაგრამაში.



დიაგრამა 13. სააგენტოს მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევები, 2013 წლის 14 მაისი - 31 დეკემბერი

სახელმწიფო კონტროლის სფეროში განხორციელებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია:

- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2013 წლის 20 ივნისის №14/09 ბრძანების საფუძველზე შემოწმებულ იქნა ტყიბულის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე დაავადებული წაბლნარი კორომების აღდგენა გაჯანსაღების შესახებ ,,საქართველოს მთავრობის 2009 წლის 13 ნოემბრის №858 განკარგულებით" შპს ,,ვუდიმპექსი"-სა და სატყეო დეპარტმენტს შორის 2009 წლის 20 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მდგომარეობა. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა შპს ,,ვუდიმპექსი"-ს მიერ განხორციელებული ღონისძიებები ტყის

აღდგენის მიმართულებით არ არის შესრულებული. ტყეკაფები გაუწმენდავია, წარმოქმნილია ჩახერგილობები, დარღვეულია ნარჩენების განთავსების წესი. ტყიბულის სატყეო უბნის 17 კვარტალში აღმოჩნდა უკანონოდ მოპოვებული 690 ძირი ხე მოცულობით 615.76 მ3. ზემოთაღნიშნული უკანონო ქმედებით გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 327547.84 ლარი. აღნიშნული მასალები გადაეგზავნა სამართალდამცავ ორგანოებს.

- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2013 წლის 09 სექტემბრის №13/74 ბრძანების საფუძველზე შემოწმებულ იქნა შპს ,,ვუდიმპექსი", კერძოდ ტყიბულის სატყეო უბნის №17,18,27 და საწირის სატყეოს №6,7,8,14,31 კვარტლები, შემოწმების შედეგად აღმოჩენილი იქნა უკანონოდ მოჭრილი და დატაცებული 442 ძირი სხვადასხვა ჯიშის ხე-ტყე, კერძოდ აკაცია 1 ძირი, წაბლი 34 ძირი, წიფელი 194 ძირი, ქართული მუხა 4 ძირი, ბალამწარა 1 ძირი, რცხილა 156 ძირი, თხმელა 49 ძირი, პანტა 3 ძირი. სულ 378.39 მ3 გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 98187.1 ლარი, მასალები გადაეგზავნა სამართალდამცავ ორგანოებს.
- თერჯოლის რაიონის გოდოგნის თემის რწმუნებულის წერილის საფუძველზე 2013 წლის 16 სექტემრიდან 02 ოქტომბრის ჩათვლით შემოწმებული იქნა სოფელ გოდოგნის ტერიტორიაზე არსებული ყოფილი საკოლმეურნეო ტყეები, სადაც გამოვლენილი იქნა უკანონოდ მოჭრილი 1028 ძირი ხე, მ.შ 1021 ძირი ქართული მუხის, 6 ძირი ბალისა და 1 ძირი რცხილის ჯიშის ხე საერთო მუცულობით 221.9 მ3. გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 37263.79 ლარი. მასალები გადაეგზავნა ზესტაფონის რაიონულ პროკურატურას.
- 2013 წლის 11 ოქტომბერს სს ,,საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"-სა და სსიპ ,,ეროვნული სატყეო სააგენტო"-ს შორის 2013 წლის 21 ივლისს გაფორმებული №75-3-310713-01 ხელშეკრულების საფუძველზე დათვალიერებული იქნა ბაღდათის სატყეო უბნის ყოფილი საკოლმეურნეო ტყის ფართობი, დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა

რომ სამუშაოები ნაწარმოებია ხელშეკრულების დადებამდე და 1943 მ2 ტყის ფართობზე ამოძირკული იყო სხვადასხვა ჯიშის 178 ძირი ხე, საერთო მუცულობით 7.38 მ3. გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 3870.95 ლარი. მასალები გადაეგზავნა ქუთაისის რაიონულ პროკურატურას.

- 2013 წლის 26 ნოემბერს დათვალიერებული იქნა ხონის სატყეო უბნის კინჩხის სატყეოს 15 და 16 კვარტლები. მე-15 კვარტალში მოჭრილი იქნა 105 ძირი წიფლის, რცხილისა და თხმელის ჯიშის ხეები, ხოლო 16 კვარტალში 97 ძირი წიფლის რცხილისა და თხმელის ჯიშის ხეები საერთო მოცულობით 136.62 მ3 ადგილზეა 5.91 მ3, წიფლის ჯიშის ხე-ტყე. გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 24179.1 ლარი, მასალები გადაეგზავნა სამტრედიის რაიონულ პროკურატურას.
- 2013 წლის 29 ნოემბერს მოქ. ბორის ქაჯაია ითხოვდა მის საკარმიდამო ნაკვეთში მოჭრილი ხეებიდან მიღებული მორების დაფირნიშებას, განცხადებას თან ახლდა მოქ. ბორის ქაჯაიაზე გაცემული ადგილწარმოშობის ცნობა. საკითხის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ ნაკვეთი არ ეკუთვნოდა მოქ. ბორის ქაჯაიას. ამასთან მას სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე უკანონოდ მოჭრილი ჰქონდა 101 ძირი თხმელის ჯიშის ხე-ტყე, საერთო მუცულობით 28.59 მ3. გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 1793.33 ლარი, მასალები გადაეგზავნა სამტრედიის რაიონულ პროკურატურას.
- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2013 წლის 09 სექტემბრის №13/74 ბრძანების საფუძველზე შემოწმებულ იქნა შპს ,,ვუდიმპექსი", კერძოდ ტყიბულის სატყეო უბნის №17,18,27 და საწირის სატყეოს №6,7,8,14,31 კვარტლები, შემოწმების შედეგად აღმოჩენილი იქნა უკანონოდ მოჭრილი და დატაცებული 442 ძირი სხვადასხვა ჯიშის ხე-ტყე, კერძოდ აკაცია 1 ძირი, წაბლი 34 ძირი, წიფელი 194 ძირი, ქართული მუხა 4 ძირი, ბალამწარა 1 ძირი, რცხილა 156 ძირი, თხმელა 49 ძირი, პანტა 3 ძირი. სულ 378.39 მ3 გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა

შეადგინა 98187.1 ლარი, მასალები გადაეგზავნა სამართალდამცავ ორგანოებს.

ასევე საანგარიშო პერიოდში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მომართვის საფუძველზე სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მფლობელების მიერ ლიცენზიით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის ერთობლივ შემოწმებაში. შემოწმებისას ძირითადად გამოვლენილია ტყეკაფის გამოყოფის წესების დარღვევა, უკანონო ჭრისა და ტყეკაფის გაუწმენდაობის ფაქტები, კერძოდ აღმოჩენილია 18 496 კბმ. უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყე, გარემოზე მიყენებული ზიანის თანხამ შეადგინა - 3 089 394 ლარი; ტყეკაფების გაუწმენდაობაზე გარემოზე მიყენებული ზიანის თანხამ შეადგინა - 6 166 ლარი (დანართი 3). კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, №1000004 ლიცენზიის პირობების შემოწმება შეჩერებულია და გაგრძელდება 2014 წელს.

9. მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა

საქართველოს ტყის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, სააგენტოში 2011 წელს ამოქმედდა მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა, რომელშიც აისახება ინფორმაცია საქართველოს მასშტაბით მერქნული რესურსების სარგებლობის თაობაზე, მათ შორის:

- სოციალური მიზნებისთვის გამოყოფილი ტყეკაფების მონაცემები (მდებარეობა, პირველადი აღრიცხვა და სხვ.);
- სოციალური მიზნებისთვის ათვისებული მერქნული რესურსის მონაცემები;
- კომერციული მიზნებისათვის გამოყოფილი ტყეკაფების და ათვისებული მერქნული რესურსის მონაცემები;
- სპეციალური დანიშნულების მიზნებისათვის გამოყოფილი ტყეკაფების და ათვისებული მერქნული რესურსის მონაცემები;
- მრგვალი ხე-ტყის სახერხი საამქროების ელექტრონული რეგისტრაციისა და ანგარიშგების მონაცემები;

ელექტრონულ სისტემაში ასევე აისახება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტებისა და სპეციალური ფირნიშების პასუხისმგებელ პირებზე გაცემისა და უკან დაბრუნების მონაცემები.

2013 წელს საქართველოს ტერიტორიაზე მერქნული რესურსით უზრუნველყოფის დარეგულირების მიზნით „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში შევიდა ცვლილებები, რითაც დარეგულირდა მერქნული რესურსის გაცემის საკითხები.

ამ ცვლილებების შესაბამისად კალენდარული წლის (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე) განმავლობაში მე-2 ხარისხის ხე-ტყე ერთ კომლს შესაძლებელია მიეცეს არა უმეტეს 7 $მ^3$-ს ოდენობით. ამ მიზნით, თვითმართველობის ორგანოებმა (თბილისის გარდა)

სააგენტოში წარმოადგინეს ფაქტობრივად მაცხოვრებელი კომლის (ოჯახის) წარმომადგენლის (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) სიები.

აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე შეიქმნა ფაქტობრივად მაცხოვრებელი კომლების (ოჯახის) წარმომადგენლების ერთიანი ბაზა - ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების მიერ გადმოგზავნილი ფაქტობრივად მაცხოვრებელი კომლის (ოჯახის) წარმომადგენლის სიებს ჩაუტარდა ანალიზი, მოხდა კომლის (ოჯახის) წარმომადგენლის (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს დამატებითი სიების ანალიზი.

ელექტრონულ სისტემაში სააგენტოს მიერ ასახულია ინფორმაცია 537 002 კომლის წარმომადგენლის თაობაზე.

მომზადდა და დაინერგა მოდული „e-pasport“, რომლის საშუალებითაც იმართება მომხმარებელთა უფლებები, კერძოდ, რედაქტირებისა და დათვალიერების უფლებები სხვადასხვა მოდულების მიხედვით.

მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში შეტანილი მონაცემების სისწორეზე ზედამხედველობის განხორციელების მიზნით:

- მომზადდა სპეციალური ანგარიშები ტყითმოსარგებლეების მიერ სხვა მოსარგებლეების კუთვნილი სპეციალური ფირნიშების, ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტების გამოყენების თაობაზე. მიმდინარეობს მუშაობა სისტემაში მონაცემების შეტანაზე პასუხისმგებელ უწყებებთან ერთად აღნიშნული შეცდომების გასწორებასა და სისტემის სრულყოფისათვის;

მომზადდა ტექნიკური დავალებები:

- ელექტრონულ სისტემაში არასანქცირებული შესწორებების გამორიცხვის მიზნით გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტთან თანამშრომლობით შემუშავდა ტექნიკური დავალება პროგრამისტებისათვის „შეცდომის გასწორების უწყისი“;
- ელექტრონულ სისტემაში ტყეკაფების რეგისტრაციის, გამოყოფის, გახსნის, დახურვის და გაუქმების მოდულის სრულყოფისათვის;

- ხე-ტყის დამზადების ბილეთების მოდულის სრულყოფა;

10 . პროგრამებზე, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებზე მუშაობა

სატყეო დარგში მიმდინარე პროცესებსა და დაგეგმილ ღონისძიებებში საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების ჩართულობის მიზნით, მათი საქმიანობის კოორდინაციის და ღონისძიებების დაგეგმვის, ასევე მათი განხორციელების უზრუნველსაყოფად 2013 წლის 19 ივლისს შეიქმნა დონორთა საკოორდინაციო საბჭო.

ჩატარდა რამოდენიმე სამუშაო შეხვედრა და მომზადდა მატრიცა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა კონკრეტული მიმართულებები და ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც მოხდება აღნიშნული ორგანიზაციების მონაწილეობით.

გაღრმავდა თანამშრომლობა საქართველოში მოქმედ დონორთა ძირითად წარმომადგენლობებთან:

- გერმანიის თანამშრომლობის კავშირი (GIZ),
- ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA),
- გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP),
- მსოფლიო ბანკი (WB),
- ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირი (IUCN),
- ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF).

განხილული იქნა შემდეგი საკითხები: სატყეო მონიტორინგი და სააგენტოს მუშაკთა გრძელვადიანი სწავლება-ტრეინინგები (GIZ); სატყეო კონცეფციის დოკუმენტი, კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული ინფორმაციის და ღონისძიებების გათვალისწინება ტყის მართვის გეგმებში (ADA); შეიარაღებული კონფლიქტის დროს ხანძრით დაზიანებული ბორჯომის ტყეების აღდგენა (UNDP); სატყეო კანონმდებლობის გაუმჯობესება, ტყის ლიცენზირების არსებული სისტემის ეფექტურობის შესწავლა, ტყეების სოციალურ-ეკონომიკური შეფასება და

სხვა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის პროგრამის FLEG 2 (ტყის კანონმდებლობის აღსრულება და მმართველობა) ფარგლებში (WB, IUCN, WWF).

დაიწყო მუშაობა ეროვნულ სატყეო ანგარიშზე, რომლის დასრულება გათვალისწინებულია 2014 წლის თებერვალში. მსოფლიო ტყეების გლობალური ანგარიში გამოიცემა 2015 წელს.

ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნის ტერიტორიაზე დაიწყო ავსტრიის მთავრობის მიერ დაფინანსებული „კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირებული ტყის მართვის დაგეგმარება“ - პროექტის განხორციელება, რომლის ფარგლებში განხორციელდა სააგენტოს ბაკურიანის ოფისის კეთილმოწყობა. დაგეგმილია სატყეო გზებისთვის სპეციალური ინსტუქციები მომზადება.

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) და FAO-ს მიერ წამოწყებულ პროექტში „ტყის მდგრადი მართვა მწვანე ეკონომიკისთვის ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში“ საქართველო შეირჩა ერთ-ერთ საპილოტე ქვეყნად. პროექტის ხანგრძლივობა 2 წელია და იგი მიზნად ისახავს სატყეო სექტორის პოლიტიკის და ინსტიტუტების პოტენციალის გაძლიერებას; ტყის და ტყის პროდუქტების მონაცემების შეგროვების მეთოდების გაუმჯობესებას და მწვანე ეკონომიკის ხელშესაწყობად სამოქმედო გეგმის განვითარებას და განხორციელებას. ამ მიზნის მისაღწევად პროექტი ითვალისწინებს ტრეინინგების და სემინარების ჩატარებას, ასევე საკონსულტაციო მომსახურებას ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნების სატყეო სექტორის წარმომადგენლებისთვის.

2013 წლის 17-20 სექტემბერს ჩატარდა „მთების პარტნიორობის“ მე-4-ე გლობალური შეხვედრა, რომელმაც განსაზღვრა ორგანიზაციის მომავალი ოთხწლიანი სამუშაო გეგმა. ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა თანამშრომლობა სამთო მეტყევეობის საკითხებში.

2013 წლის 1-3 ოქტომბერს ქ.მინსკში პროგრამა FLEG 2-ის დამტკიცებისთვის პროგრამის მმართველი საბჭოს კომიტეტის სხდომაში მონაწილეობა მიიღო სააგენტოს წარმომადგენელმა და პრეზენტაცია გააკეთა ეროვნული სატყეო სააგენტოს პრიორიტეტების და გატარებული ღონისძიებების შესახებ. სააგენტოს წარმომადგენლის მიერ დაყენებულ იქნა საკითხი პროგრამის ბიუჯეტის გამჭვირვალობის შესახებ.

10 . პროგრამებზე, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებზე მუშაობა

2013 წლის 22-23 ოქტომბერს ჩატარდა გაეროს სატყეო ფორუმის(UNFF) სასესიო სხდომა, სადაც განხილულ იქნა ორგანიზაციის მუშაობის პერსპექტივები 2015 წლის შემდგომი პერიოდისთვის.ამ მიზნით სააგენტოს მიერ შევსებული იქნა ორგანიზაციის მიერ გამოგზავნილი კითხვარი და გადაგზავნილი იქნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით.

სააგენტო აქტურად მონაწილეობს პან-ევროპულ პროცესში „ტყეები ევროპისთვის“, რომლის ძირითადი მიზანია ევროპის სატყეო კონვენციის შემუშავება. 2013 წლის 7-8 ნოემბერს შვეიცარიაში, ჟენევაში გაიმართა სამთავრობოშორისი მომლაპარაკებელი კომიტეტის შეხვედრა აღნიშნულ საკითხზე.რომელიც ორგანიზებული იყო შვეიცარიის მთავრობის მიერ. სამწუხაროდ ქვეყნები ვერ შეჯერდნენ დოკუმენტის საბოლოო ტექსტზე და ამ მხრივ მუშაობა გაგრძელდება.

2013 წლის 9-13 დეკემბერს ფინეთში, ჩატარდა FAO-ს ევროპის ტყის კომისიის 37-ე სხდომა და UNECE-ს ტყისა და სატყეო ინდუსტრიის კომიტეტის 71-ე სხდომა, სახელწოდებით „Metsa 2013” ფინეთის მთავრობის მიწვევით, ღონისძიებაში მონაწილეობდა 40 სხვადასხვა ქვეყნის 450 წარმომადგენელი. სხდომაზე განხილული იქნა ის ძირითადი პრობლემები, რაც ევროპის სატყეო სექტორის წინაშე დგას და იმსჯელეს მათი მოგვარების გზებზე. განხილულ იქნა ჩრდილოეთის ე.წ ბორეალური ტყეების თანამედროვე მდგომარეობა. მათში მდგრადი მეურნეობის წარმოების თავისებურებები. განხილული იქნა სატყეო მეურნეობის როლის ამაღლება ე.წ. „მწვანე ეკონომიკაში“

2013 წლის 11-15 დეკემბერს ფინეთში, ქ. როვანიემში ჩატარდა „ENPI EAST FLEG II Programme-ის (სატყეო სექტორში კანონაღსრულება და მართვა) ხელმძღვანელების მიერ ორგანიზებული შეხვედრა. შეხვედრის თემას წარმოადგენდა FLEG-ის როლი სატყეო სექტორის მართვის პროცესში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად და ამ პროცესთან დაკავშირებით, ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონის გამოცდილების გაზიარება. შეხვედრაზე განხილულ იქნა FLEG-ის პროგრამის მეორე ფაზის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები, ასევე ქვეყნებში აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების მდგომარეობა და დასრულებული აქტივობების შედეგები.

10 . პროგრამებზე, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებზე მუშაობა

აღსანიშნავია, რომ საქართველოში პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ქმედებების სამუშაო გეგმით გათვალისწინებულია 5 ძირითადი მიმართულება და 23 ღონისძიება, რომელთაც განახორციელებენ FLEG-ის პარტნიორები- მსოფლიო ბანკი (WB), ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირი (IUCN) და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი(WWF).

2013 წლის 12 დეკემბერს გაიმართა ეროვნულ სატყეო სააგენტოს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს და პოზნანის უნივერსიტეტის წარმომადგენლების შეხვედრა, სადაც გაფორმდა სამმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს სამეცნიერო, საგანმანათლებლო და პრაქტიკულ კვლევით საქმიანობას.

სააგენტოს მიერ განხორციელდა FAO-ს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული კითხვარის „2015 წლისათვის ტყის გლობალური რესურსების შეფასება“ (FRA- 2015) ფარგლებში სტატისტიკური ანგარიშის მომზადება და ტყის რესურსების მართვის საინფორმაციო სისტემაში (FRIMS) განთავსება.

11. საზოგადოებასთან ურთიერთობები

საზოგადოების უკეთ ინფორმირებისა და პროცესების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად 2013 წელს გაღრმავდა ურთიერთობა მასმედიის წარმომადგენლებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. ჩატარდა რამოდენიმე საჯარო განხილვა ტყეების მართვასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხებისა და დოკუმენტების განხილვის მიზნით.

სააგენტოს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ სხვადასხვა შეხვედრებში, მათ შორის:

- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, საქართველოს პარლამენტისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ ორგანიზებული სამუშაო შეხვედრა „საქართველოს მთავრობის 2014 წლის პროირიტეტები და პროგრამები გარემოს დაცვის სფეროში";
- ქ. ბორჯომში მბეჭდავი ქერქიჭამიას წინააღმდეგ ბრძოლის მიმდინარე კომპლექსურ ღონისძიებებთან დაკავშირებულ შეხვედრა;
- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსები სდაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებული შეხვედრა საქართველოში მოქმედი საერთაშორისო დონორების წარმომადგენლებთან, სადაც სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებთან ერთად განხილულ იქნა ეროვნული სატყეო კონცეფციის დოკუმენტი;
- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებული შეხვედრა საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციის დოკუმენტის საბოლოო ვერსიის განხილვის თაობაზე;

- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი ბიძინა გიორგობიანი შეხვდა მედიის წარმომადგენლებს, სადაც ჟურნალისტებს სააგენტოს მუშობის 3 თვის შედეგები და სამომავლო გეგმები გააცნო.
- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი ბიძინა გიორგობიანმა მიიღო მონაწილეობა „პალიტრა ტვ“-ს გადაცემა „სპექტრში“;
- არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-მა, ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან ერთად, სატყეო სექტორში განხორციელებული კვლევის „ტყეების მართვის დღევანდელი ვითარებად ამისი გავლენა მოსახლეობაზე“ განახორციელა ანგარიშის პრეზენტაცია;
- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი ბიძინა გიორგობიანმა მიიღო მონაწილეობა პალიტრა TV-ს გადაცემაში „მრავალკუთხედი“;
- ქ. ბორჯომში სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს „კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირებული მდგრადი სატყეო მეურნეობის დაგეგმარება ბორჯომის რაიონში“ პრეზენტაციის გამართვაში.
- ეროვნული სატყეო სააგენტოს და სტუ-ს შორის გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი;
- ტყის მოვლა-აღდგენის დეპარტამენტის უფროსმა, ნათია იორდანიშვილმა მონაწილეობა მიიღო, სტუდია „ობიექტივის“ გადაცემაში „ეკონომიკის ანატომია“;
- სატყეო სააგენტოს მიერ ქ. რუსთავში განხორციელდა გამწვანების მასშტაბური აქცია;
- სატყეო სააგენტოს მიერ მახათას მთაზე მშენებარე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის ტერიტორიაზე განხორციელდა გამწვანების აქცია;
- სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ეროვნული სატყეო პროგრამის პლენარული სხდომებში;

- ჟურნალ „ლიბერალში“ გამოქვეყნდა სააგენტოს უფროსის ბიძინა გიორგობიანის სტატია „ფრთხილი სიჩქარით სატყეო რეფორმისკენ“;
- პოზნანის უნივერსიტეტის სატყეო ფაკულტეტთან გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი;
- სააგენტოს მიერ დაინტერესებული მხარეებისათვის და საზოგადოების წარმომადგენლებისათვის განხორციელდა ეროვნული სატყეო სააგენტოს რეფორმის კონცეფციის წარდგენა.

საანგარიშო პერიოდში სააგენტოსგან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია (14 მოთხოვნა) მიწოდებულ იქნა დადგენილი ვადებში.

დანართები

დანართი 1

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოზე სარგებლობის უფლებით 2013 წლის 14 მაისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გადმოცემული იქნა ქონება

№	მისამართი (ადგილმდებარეობა)	ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი (კვ.მ)	შენობა-ნაგებობის საერთო ფართი
1	ქ. ყვარელი, ქუჩა დ.აღმაშენებლის ჩიხი 4, N 6	11943,00	770,30
2	გორი, სოფელი ბოშური	1254,00	134.30
3	ქ. ხაშური, ქუჩა ბორჯომი, N 18	6657,00	239,14
4	მცხეთა, სოფელი წიწამური	31437,00	628.07
5	დ. ხარაგაული,ქუჩა სოლომონ მეფე,N 23	335,00	302.94
6	ქ. ახალციხე.ქუჩა ასპინძა,N 32	4850,00	325,78
7	ქ. ზუგდიდი, ქუჩა კოსტავა, N 58	2366,00	902,85
8	ქ. ბოლნისი, ქუჩა აღმაშენებლის N 5	9334,00	450,00
9	ქ. ამბროლაურის რაიონი, სოფელი სადმელი	5468,00	308,76
10	ქ. ოზურგეთი, ქუჩა გიორგაძე, N 5	916,00	408,38
11	წყალტუბო, სოფელი გუმბრა	11317,00	683,03
12	გორი, სოფელი ბნავისი	275,00	108,31
13	ქ. ლანჩხუთი, ნინოშვილის ქ. N 32	337,00	337,00
14	ქ. თბილისი, სოფელი გლდანი	2367,00	800,00

№	მისამართი (ადგილმდებარეობა)	ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი (კვ.მ)	შენობა-ნაგებობის საერთო ფართი
15	ბოლნისი, სოფელი ფოლადაური	55526,00	125,00
16	ბორჯომი, დაბა ბაკურიანი	670,00	335,00
17	ქ. თბილისი, გულუას 6	755,45	755,45
		145807,45	**6549,00**

დანართი 2

ინფორმაცია სახელმწიფო ტყის ფონდის სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის ხელშეკრულებების შესახებ

№	ხელშეკრულების თარიღი	ფართობი (კვ.მ)	მდებარეობა	ხელშკრულება გაფორმებულია
1	02.08.2013	10879	წალკა-თეთრიწყაროს სატყეო უბნის წალკის სატყეოს კვ.№14 ლიტ.№19	შ.პ.ს "ენერგოტრანსი"
2	24.04.2013	10000	საჩხერის სატყეო უბნის კორბოულის სატყეოს კვ.№8 ლიტ.№9	ა(ა)იპ "ატუ"
3	04.09.13	800	ყვარლის სატყეო უბნის ყვარლის სატყეო	"ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი"
4	04.09.13	1037682	ბოლნისის სატყეო უბნის დარბაზის სატყეო და მის მიმდებარედ ყოფილი საკოლმეურნეო ტყე	შ.პ.ს "კავკასიის სამთო ჯგუფი"
5	04.09.13	1954	კოლხეთის სატყეო უბნის ჭურიის სატყეო და მის მიმდებარედ ყოფილი საკოლმეურნეო ტყე	"სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი"
6	10.10.13	2108	ბორჯომ - ბაკურიანის სატყეო უბნის ბორჯომის სატყეო	სს "დიზოლიმითედი"
7	10.10.13	9991,4	ბაღდათის სატყეო უბნის ზეკარისა და ქერშავეთის სატყეოები	შ.პ.ს"ჯორჯიან ვუდ ენდ დეველოფმენთ კო"
8	16.10.13	1140,7	ფასანაურის სატყეო უბნის დუშეთის სატყეოს კვ.№12	"დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო"
9	07.11.13	80648946,9	საგარეჯოს სატყეო უბანი; თიანეთის სატყეო უბანი; გარდაბან-მარნეულის სატყეო უბანი	შ.პ.ს "კანარგო ჯორჯია"
10	13.11.13	27384,53	ყვარლის სატყეო უბნის შილდის სატყეო	სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემები"
11	29.11.2013	9873,51	ხაშურის სატყეო უბნის ალის სატყეო	სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"
12	29.11.2013	18129,89	ზესტაფონ -ხარაგაულის სატყეო უბნის	სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის

№	ხელშეკრულების თარიღი	ფართობი (კვ.მ)	მდებარეობა	ხელშკრულება გაფორმებულია
			კვალითის სატყეოს მიმდებარედ არსებული ყოფილი საკოლმეურნეო ტყე	კორპორაცია"
13	06.12.13	22220,34	მცხეთა-დიდგორის სატყეო უბნის ლისის სატყეო	სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემები"
14	25.12.13	48622,92	თიანეთის, კასპის, ხაშურის, გორის და ქარელის სატყეო უბნები	"ენერგო პრო ჯორჯია"
15	მომზადებულია ხელშეკრულების პროექტი	5438	მცხეთა-დიდგორის სატყეო უბნის ძეგვის სატყეო	შ.პ.ს "ნიჩბისი +"
16	მომზადებულია ხელშეკრულების პროექტი	20347	ამბროლაურის სატყეო უბნის სადმელისა და ღვიარას სატყეოები	შ.პ.ს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულო კორპორაცია"
17	მომზადებულია ხელშეკრულების პროექტი	26535,4	ბარისახოს სატყეო უბნის ჭოპორტის სატყეოს კვ.№62 ლიტ.№2ᵃ და კვ.№68 ლიტ.№3	შ.პ.ს "საქართველოს სამელიორაციო სისტემების კომპანია"
18	მომზადებულია ხელშეკრულების პროექტი	3728	წერაქვის სატყეოს ყოფილი საკოლმეურნეო ტყე	„სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველო"
19	მომზადებულია ხელშეკრულების პროექტი	4073	წალკის სატყეო	„სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველო"
20	მომზადებულია ხელშეკრულების პროექტი	4327	წალკის სატყეო	„სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველო"
21	მომზადებულია ხელშეკრულების პროექტი	799	წერაქვის სატყეოს ყოფილი საკოლმეურნეო ტყე	„სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველო"
22	მომზადებულია ხელშეკრულების პროექტი	107824	ლანჩხუთის და ოზურგეთის სატყეო უბნები	შ.პ.ს "ვი პი ჯორჯია"
23	მომზადებულია ხელშეკრულების პროექტი	168054	მესტიის სატყეო უბნის მესტიისა და იფარის სატყეო	შ.პ.ს "თეთნულდი დეველოფმენთი"
24	მომზადებულია ხელშეკრულების პროექტი	5239	ასპინძა-ახალქალაქის სატყეო უბნის ჭობარეთის სატყეოს კვ №11	შ.პ.ს "ენერგოტრანსი"

დანართი 3

№	დასახელება	ლიცენ-ზიის ნომერი	მდებარეობა	გამოვლენილი დარღვევები	უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყე, მ3	გარემოსათვის მიყენებული ზიანი, ლარი	რეაგირება
1	**შპს ფათათი**	100073	ახალციხის სატყეო უბნის წინუბნის სატყეო	• ტყეკაფის გაუწმენდაობა	-	**3 541,03**	მასალები გადაგზავნილია სამართალდამცავ ორგანოებში
2	**ი/მ გიორგი ოქროპირიძე**	1000015	გორის სატყეო უბნის ბოშურის სატყეო	• ტყეკაფის გაუწმენდაობა	-	**605,62**	მასალები გადაგზავნილია სასამართლო
3	**ი/მ გიორგი ოქროპირიძე**	1000014	გორის სატყეო უბნის ორმოცის სატყეო	• ტყეკაფის გაუწმენდაობა	-	**2 020,26**	მასალები გადაგზავნილია სამართალდამცავ ორგანოებში
4	**შპს ტაო**	100013	ადიგენის სატყეო უბნის უტყისუბნის სატყეო	• ათვისებულია ზედმეტი რესურსი; • ტყეკაფის გაუწმენდაობა • უკანონო ჭრა • ტყეკაფის გამოყოფის წესების დარღვევა	3 201,39	**328 428,12**	მასალები გადაგზავნილია სამართალდამცავ ორგანოებში
5	**შპს ტაო**	1000003	ადიგენის სატყეო უბნის კურცხანის სატყეო	• ტყეკაფის გაუწმენდაობა • უკანონო ჭრა • ტყეკაფის გამოყოფის წესების დარღვევა	59,14	**35 183,91**	მასალები გადაგზავნილია სამართალდამცავ ორგანოებში
6	**შპს ჯორჯიან ფორისთ**	00174	მარტვილის სატყეო უბნის, კურზუსა და ტალერის სატყეოები	• ტყეკაფის გაუწმენდაობა • უკანონო ჭრა	8 783,73	**1 630 816,28**	მასალები გადაგზავნილია სამართალდამცავ ორგანოებში
7	**ი/მ რაგული ტაბატაძე**	100026	ხაშურის სატყეო უბნის ძამის სატყეო	• ტყეკაფის გაუწმენდაობა • უკანონო ჭრა • ტყეკაფის გამოყოფის წესების დარღვევა	6 445	**1 093 417,60**	მასალები გადაგზავნილია სამართალდამცავ ორგანოებში
8	**შპს ახალციხის შპალსაჟღენთი ქარხანა**	1000004	ადიგენის სატყეო უბნის ღაღვის და კეხოვანის სატყეო	• ტყეკაფის გაუწმენდაობა • უკანონო ჭრა • ტყეკაფის გამოყოფის წესების დარღვევა	**7,83**	**1 550,00**	მასალები გადაგზავნილია სამართალდამცავ ორგანოებში